თეატრი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი.

15 დეკემბერს | გამოცემა № 17 | კვირაობით | 1885 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადათ ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში ძმ. ზილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакція „Театръ“.

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მსატვრობითი გაზეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, **კვირაობით**

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს სუთი (5) მანეთი ნახევარის წლით—**სამი** (3) მანეთი **ხხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.**

მომავალ 1886 წლიდამ აკაკი წერეთელი დამოუკიდებელ მონაწილეობას მიიღებს.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „**Театръ**“.

ქართული თეატრი

კვირას, 15 დეკემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

ვეფხ ტყავიანი ცხოვარნი

კომედია 4 მოქმედ., თარგ. ანისა.

დასასრულ

ლეკური

დასაწყისი 8 საათზე.

ქართული თეატრი

ქართულმა დრამატიულმა დასმა კვირას, 8-ს ქრისტიშობისთვეს წარმოადგინა «ცხოვრების თანამოგზაური», დრამა-კომედია 4-ს მოქმედებად, გადმოკეთებული ა. მოჩხუბარიძისაგან. ეს პიესა მეტად საყურადღებოა, რადგანაც გმირი, რომელიც აქ არის დახატული, ჩვენი ცხოვრების იდეალია. იდეალია მეთქი, იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენი მატერიალური მეცხრამეტე საუკუნე იმ განვითარებამდის არ მისულა, რომ იმისთანა ნაყოფები მოგვცეს, **როგორსაც** კი მოითხოვს პატიოსანი განათლებული **საზოგადოება.** ამ თხზულებაში დახატულია ის პატიოსანი **ხასიათე-**

ბის თვისებების მქონი კაცი, როგორიც კი შეჰფერობს ყველა განვითარებული საზოგადოების მწვერს, რომ ამ ნაირი ღირსებებით იგი დაჯილდოებული იყოს, რადგანაც შედეგი პროგრესი იქნება. შეიძლება ჩვენშიაც არიან ამ გვარი პირნი, მაგრამ მეტად ი"შვიათი მოვლენაა! რა არის მიზეზი, რომ ჩვენს ქვეყანაში ი"შვიათნი არიან იმისთანა პირნი, რომლებსაც შეეძლოთ შეასრულონ თავიანთი პირ-და-პირი დანიშნულებანი: ებრძოლონ ქვეყნის წაღმა-უკუღმა ბრუნვას, გაჰკურნონ ავად-მყოფი საზოგადოება, გამოიცნან რა არიან თვითონ და რა ბუნებითს მოვლენათაც უნდა ებრძოლონ? აი ამ კითხვებს ებრძოლება მთელი კაცობრიობა და ყველა მისი მწვერი ცდილობს რაიმე ნაყოფი სიკეთე დაარჩინოს და ისე არ მოკვდეს, იმის ამ სოფლად არსებობამ ისე არ ჩაიაროს, რომ ნაკვალევი არ ეტყობოდეს. დიახ, დასაბამიდგანვე, ვიდრე აქამომდეს განვითარებული ნაწილი კაცობრიობისა სულ ამ კითხვების მსხვერპლი გამხდარა, რომ ეჩვენებინათ მაგალითი ჭეშმარიტებისა. აი, ეს ჩვენგან ზე მოყვანილი პირიც ამ გმირთაგანია, რომელიც ებრძოლება ნაკლებულებას საზოგადოებისას, შინაურს და გარეულს გარემოებას, მაგრამ ყოველივე ცდა, ყოველივე საშუალება ამაოდ მიდის და უკუღმართი ცხოვრების მსხვერპლი ხდება. დიახ, იგი კვდება, მაგრამ სიკვდილამდის შეურყეველად ინახავს თავის მტკიცე აზრებს და გზას არ უხვევს. შაბაშ, იმისთანა ახალგაზდა კაცს! შაბაშ, რომ კეთილი საქმისათვის ბნელს სამარეს არ ერიდება!! ზე მოყვანილი კითხვების მიზეზნი ბევრნი არიან, მაგრამ ჩვენ-კი ერთს უმთავრესთაგანს ვიტყვით, რომელშიაც ჩვენი უბედურება მდგომარეობს. ეს გახლავთ აღზრდა (Воспитаніе), იგი სრულებით არ გვამზადებს იმ ცხოვრების საბრძოლველად, რომელშიაც მომავალში მუშაობა გვიხდება. აი დაასრულა ახალ-გაზდა კაცმა, თუ ქალმა სწავლა და ცხოვრების ასპარეზზედ გამოვიდა. მერე რასა ეხედავთ. ის ოცნება, რომლითაც ის სკოლაში საზრდოობდა, როგორათაც ქაღალდით აშენებული სახლი, ისე დაეშალა. ამ შემთხვევაში სრულებით არ ეხმარება ის თეორითიული სწავლა, რომელიც იმან სკოლაში მიიღო. ყოველივე ნაბიჯი, ყოველივე მოქმედება იმას უოცდება და გაშტერებული შესცქერის. რაღა რჩება ამ პირს? მხოლოდ ორი საშუალება: ან სრულიად დაანებოს თავი ამ საზოგადოებას და ან ამავე საზოგადოების მწვერი გახდეს, რადგანაც არა იარაღი არ აქვს, რომლითაც შეიძლოს ამ საზოგადოების მოსაქმება. რომ ეს ჭეშმარიტი ფაქტია, ამას ყოველ დღიური მაგალითი გვიმტკიცებს. აი, მაგალითად ავიღოთ ამ თხზულებაში დახატული ახალგაზდა ნინო (მ. საფაროვი-აბაშიძისა), რომელსაც დაუსრულებია საშუალო სასწავლებელი, იგი სრულიად გვიხატავს ეხლანდელი ქალების განათლებას, რომელიც სრულიად აუხვევიათ კეთილი გზისთვის, დაუვიწყებიათ თავიანთ დანიშნულებანი და მხოლოდ ბალ-მასკარადში და არშიყობისთვის უმსხვერპლებიათ თავიანთი ნიჭი. ბანა ამისთანა ქალებს შეუძლიანთ რიგიანი მამულის შვილები აღზარდონ და პატიოსანი ქმრის მოთხოვნილებანი დაკმაყოფილონ? არა! მართლაცა და ზიორგი ბედკრულაძე (ვ. ალექ.-მესხიევი) (кисейная барышня) ქალის მსხვერპლი ხდება, როგორც შელუნავი უწოდებს მათ. ის ვერ უძლებს იმის ქცევას და თავის თავი მსხვერპლად მოაქვს. წარმოიდგინეთ, რომ შინ ცოლს ულირსი ქმარი უკვდება და თვითონ მასკარადში სვიმონს (ვ. აბაშიძე) ეარშიყება. აი, ჩვენი თანამედროვე განათლებული ქალები. ვინ არის ამ შემთხვევაში დამნაშავე?—თვითონ? არა—მშობლები და აღმზდელები, რომელნიც იმას საძირკველს უდგამენ და მხოლოდ იმას ასწავლიან, ახალ-გაზდა კაცთან როგორ მოიქცეს. რა არის შედეგი ამისთანა ქალისა, როდესაც ქმარი უკვდება? ბანა შეუძლიან შეურყეველად ატაროს პატიოსანი სინიდისი? ბანა შეუძლიან ცხოვრებას ებრძოლოს?.. დიახ, ამათი მომავალი მეტად სამწუხაროა და ისეცა ხდება...

რაიცა შეეხება მოთამაშეთ, ყველამ რიგიანად შეასრულა თავის როლები, მ. საფ.-აბაშიძისამ მ. ნ. ბაბ.-ცაგარლისამ, რომელიც გატაცებულს კნეინას თამაშობდა, მეტად ხელოვნურად იყო დახატული იმის დაცემული ხასიათები, ვ. აბაშიძემ მატყუარა, მოარშიყეს—სვიმონის როლი და მ. მძინაროვისამ საბრალო კეთილი დედის როლი, რომელსაც შვილს აშორებენ და განშორებული იტანჯება, რომ თავის შვილს ამ საზოგადოების შუა ხედავს, რომელნიც საშინელს ტანჯვას აყენებენ, იმათი მსხვერპლი ხდება და ბოლოს კი გადახვეულნი თავის შვილის სიკვდილით იტანჯება. ვ. ალექ.-მესხიევს, როგორც ეტყობოდა, ვერ შეეგნო ამ ზევით ჩვენგან აღწერილი ტიპის ხასიათი და ჩვენ თვალწინ იდგა თვითონ ბ. მსახიობი და არა ის ცხოვრების გმირი, რომელიც ამ თხზულებაშია დახატული, მით უფრო იკარგებოდა ილუზია, რომ როლის სწავლაში, მეტადრე უკანასკნელს მოქმედებაში, სრულიად კოჭლობდა. მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეგვიძლიან მსახიობნი გავამტყუნოთ, რადგანაც ცარიელს თეატრში, მხოლოდ სკამებს ელა-

პარაკებიან. რაღა გულით უნდა ითამაშონ. ან კიდევ ვისთვის, როდესაც თეატრში სამ ნახევარი კაცი ზის და იმათაც მისძინებიათ? ღმერთმანი, ჩვენი საზოგადოება გვაკვირვებს და მით უფრო ინტელიგენცია, რომელმაც სრულიად დაივიწყა ქართული თეატრი. სად არიან? რას აკეთებენ? ჩვენა გვგონია, რომ თავიანთ კაბინეთებში ქაღალდებს თამაშობენ და ან არა არტალებზედ და ხაშზედ სჯიან, თუ რომელი უფრო სასარგებლოა იმათი ნაზი კუჭისათვის. ხუმრობა ხომ არ არის რომ კუჭები გაუნაწყენდეთ, მერე ამ ცივს ზამთარში!..

ი. კავთელი.

ბენეფისი ვ. ალექსეევი-მესხიევისა

ბაგრატ IV

დრამა

კ. მესხისა

„ზრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს, კუდა იდოშ საითკენაო“! ასე იწყება ერთი მუხლი არსენას შაირისა და ეს ტაეპი ბევრჯელ მოგვაგონდება ხოლმე ზოგიერთა, ვითომ—ახალი თხზულების წაკითხვის დროს. ცალ-მოგვი ავტორები აიღებენ ხოლმე სხვის თხზულებას შეკრეჭ-შემოკრეჭენ, სცხებენ ფერ-უმარილს, სახელს გამოუცვლიან და არწმუნებენ მკითხველს: ჩვენი საკუთარი ნაწარმოებიაო.—ვინც არ იცის, რასაკვირველია დაიჯერებს, მაგრამ ვინც კი იცის, იმან რაღა უნდა თქვას თუ არ: „მახლასო“! სწორედ ამ გვართაგანი არის ბ. მესხის «ბაგრატ IV-ხე» ეს გვაგონებს ჩვენ ერთის რუსის მწერლის ბ. პოლონსკის უხეირო დრამას, რომელსაც სახელად „დარეჯან“ ჰქვიან.—ქართველ-ავტორს ეს დარეჯანი გაუბაგრატებია: კაბა გაუხდევნებია, წვერ-ულვაში გამოუბამს და გაუძლევნია მკითხველებისათვის.—მაგრამ იმ დალოცვილმა უკეთესი ველარა ნახა რა? აბა სწორედ ამაზეა ნათქვამი: „მარხვა ვჭამე ღოსთვისო და ქურდობა ვჰქენ ხზოსთვისო!“ ეს დრამა იმდენად ისტორიულია, რამდენადაც ზღაპრული და ისეც ქართული, როგორც ჩინეთური.—სწორეთ: „კუდა იდოშ, საითკენაო“! ამისი საქმეა—და მაშასადამე არც მოსვლაა ამისი საკითხავი და არც წასვლა!.. «რა ვუყოთ რომ ისტორიული სიმართლე არ არისო? ისტორიული ჭეშმარიტება არც «სამშობლოში» იყოო! შეიძლება ვინმემ სთქვას, მაგრამ დრამა სამშობლო სულ სხვა იყო: სხვა ღირსებასთან, იმას ის დანიშნულებაცა აქვს, რომ მკითხველს გაუღვიძოს წრფელი ძრახვები და სულით აამაღლოს, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი დრამა „ბაგრატი“ სულ წინააღმდეგად მოქმედობს კაცზე. ამის წამკითხველს, ანუ მნახველს ეგონება რომ ჩვენს წარსულ-ცხოვრებაში, გარდა საძაგლობისა არა ყოფილა რა.—მადლობა ღმერთს, რომ ეს ცილის წამებითი პიესა ისე უხეიროდ არის დაწერილი, რომ შთაბეჭდილებას ვერავისზედ მოახდენს!.. «ბაგრატი»-სათვის ნდომებია თვალების დათხრა და თვითონ კი დაუთხრია თავის საკუთარი თვალები, უჯოხოთ სცენაზედ, ვგონებ, ველარ გამოვიდეს; და თუ ვინმე გამოიყვანს, უთუოთ მოწყალების სათხოვრად იქნება.—ბუშინ 11-ს ამ თვისას ეს პიესა ითამაშეს ქართულ სცენაზე. საზოგადოდ კარგად ითამაშეს, ყველაზედ უკეთ ბატ. მოხევე თამაშობდა და ყველაზედ უფრო საძაგლად ბ. ვ. აბაშიძე, რადგანაც ამისთანა უხეირო პიესაში კარგად თამაშობა ხელოვნების შეურაცხყოფაა და აბაშიძემ კი ხელოვნურად ითამაშა.

აკაკი.

ფელტონი

(N-ს)

თუ ბედმან, ჩემმან მუდმივ მდევნელმან,
სამუდამ-ჟამოდ შენთან გამყაროს
და რა განვლიო შორს გზა—დავლიო
დღენი სხვის მხარეს და სხვის სამყაროს,—

გახსოვდეს რომა, მე ბედის წყრომა
ვერ შემაფერხებს და მიჩანს არად,
თუ შენი გული და სიყვარული
მექნება შორს მყოფს მცველად და ფარად.

ცახელი

ფუფალა

დილის ცხრა საათს თეიმურაზი შეგვატყობინებს ხოლმე. სწორედ ამ დროს დგება და გამოდის იქვე რუზედ პირის დასაბანად. შემდეგ დიდი ხანი ივარცხ-

ნის თავს და მეტადრე წვერს და მხოლოდ მაშინ შეუდგება ჩაის სმას. დედა და რძალი ელოდებიან ხოლმე.

შემდეგ გამოდის ახალუხა და სახლი-კაცებს დაუელის. შესანიშნავია მისი სიარული: ნელა დადის, ისე ნელა, რომ კაცს გულს შეუწუხებს; ფეხს ფთხილად ადგამს—წაღები არ გამიცვდესო. ტანისამოსი, როგორც შეეფერება ჩვენს სოფლელ ღარიბს აზნაურიშვილს. ერთი ხელი აქვს და დღეობები კი ძალიან უყვარს—მოდი და ნუ გაუფრთხილდები. თეიმურაზს არ შეუძლია შინ ჩუსტებით სიარული, მას კარგად ესმის თავის ღირსება და ჩუსტებით არ შეირცხვენს თავს. სიარულში, ლაპარაკში, სახის გამომეტყველებაში,—მას რაღაც უსიცოცხლობა ეტყობა. დაუელის ხოლმე თეიმურაზი შეიდივე კომლს სახლი-კაცებს და მისალმების შემდეგ, მაშინვე იკითხავს:

— დღეს სადილად რა გაქვსთ?

— ლობიო, გენაცვალე, სხვა რა უნდა გვქონდეს?

— ეჰ, სულ ლობიო და ლობიო! რით არ მოგწყინდათ ეგ ოხერი, ეგა? და ხელებ ჩაწყობილი ახალუხის ჯიბეებში მიბრძანდება თეიმურაზ ახლა მეორესთან. დაუელის ასე ყველას და საცა ან ქათამი, ან ბატი, ან სხვა რამ ხორცია, იქ დარჩება.

— მაშ დღეს სადილად თქვენსა ვარ.

სადილობამდის იქ არის. ხორცის დანახვაზედ ეს უსიცოცხლო, ზარმაცი, არაერთარის მიზნის მქონი სიცოცხლეში, გარდა ჭამისა, სრულიად შეიცვლება ხოლმე. იქვე ბუხართან, ქვაბის გვერდზედ მიჯდება და დაიწყობს ლაპარაკს, ოხუნჯობას; ზოგს ნანახს ამბობს, ზოგს გაგონილს და ერთობს მასპინძელს. ისადილებს და დიდი უმადური დაგრჩებათ, თუ ცარიელი ხორცით ვერ გააძღეთ, რადგან გნებავსთ მოჭკალით და გნებავსთ წვენი აჭამეთ. სადილს შემდეგ მიიძინებს.

— ძლიეს არ დაღამდა! რამოდენა დღე იყო! ჩივის თეიმურაზი, ეს საღამო როგორღა გავატარო?

ვითომ გააკეთოს რამე? თქვენც არ მომიკვდეთ: მთელი ოჯახი რომ იღუპებოდეს, ხელს არ გაანძრევს. «რა ჩემი საქმეა... მე არაფერში ვერევი, ყველა ჩემმა ძამიამ იცისო». მის სებედნიერად, იმის დედას რაღაც მანეთ ნახევარი პენსია აქვს თვეში,—მოკაზმულია თეიმურაზი ყოველთვის სუფთად და სხვა არა იცის რა. სახლში მისგან კაცი ვერას გაიგებს; თუ იტყვის რასმეს, ისევ:—„ი სუფრა გაშალეთ, ლოგინი დამიგეთ“-ო. ამ უმოქმედობის გამო დაარქვეს მას ფუფალა. საღამოს ჩვენი ფუფალა, როგორც სხვები, სალაყბოზედ ატარებს.

სალაყბოს დიდი-დედა მაკრინეს კარს ეძახიან. აქ ყოველ საღამოს შეიყრება ხოლმე მთელი გვარეულობა, უფროსები დაბრძანდებიან კუნძებზედ ან სიპ-ქვებზედ და გრგოლს შეადგენენ, ყმაწვილი ხალხი აქვე კალოზედ «ბუზიკა-დაირას» უკრავს და ლხინობს.

— მერე, ძია, მერე?

მერე, ჩემო ბატონო, შეედგი რძე ასადუღებლად, მივიდა ე ფუფალა და ცეცხლა პირას მიჯდა, მეც ვიფიქრე, კაცია, რძეს როგორ გადმოიყვანს-მეთქი, გარეთ გამოვედი, გოჭები უნდა დამემწყვდია. დეერევიან ხოლმე ი საამგლეები ვენახებს და... მეტადრე ი დიდი ბურვაკი... ეჰეი, რა ღორი დგება და! ისე დღე არ გავა, რომ ღორ-ხბოდგან არ გამოიპაროს და სიმინდებში არ გადაერიოს. ამას წინად, აი იმ დღეს, გამოჰპარვოდა მწყემსებს, შესულიყო ჩვენი ზურაბას ბოსტანში და ისე ამოეგდო კომბოსტო...

— ძია-ჩემო, თქვენ ხომ ფუფალას ამბავს გვიბრძანებდით?

— მე რაღას მოგახსენებთ?

— ბოჭების ამბავს გვიბრძანებთ, უთხრა დაცინვით გასათხოვარმა ქალმა.

— აი ვირმა კი აგიკიდოს! შე კუდიანო, შენა! დიახ, ამას მოგახსენებთ, გამოვედი, ბატონო, გარეთ; ერთიც ვნახოთ, ერთი საშინელი ყვირილი შემომესმა სახლიდგან: არიქათ ჩქარა, გადმოვიდაო! ვაიმე დავიღუპე, სახლი ხომ არ მეწვის-მეთქი; შევარდი გიჟსავით სახლში. თურმე ნუ ბრძანებთ, რძე გადმოსულა და ე ჩვენი ბატონი კი ზის და ყვირის! შე დალოცვილი შვილო, ამისათვის რა გაყვირებდა, ვერ გადმოიღებდი-მეთქი.

ყველანი სიცილით კვდებიან. ფუფალა გაბრაზდა.

— ვის დასცინი, ნეტავი გამაგებინა? ქაცო, შენ არ იყავი რომ...

— ქაცო, კაცო! ბააწყვეტინა ძია-ჩემმა, ნუ იცი, ყმაწვილო, ე კაცობით ლაპარაკი. ერთი ახალუხი არ გამიცვეთია შენზედ მეტი?

— რა ვქნა, კაცი არა ხარ, მაშ რა...

— ხალხო, გაზეთები, გაზეთები! დაიყვირა ამ დროს ბალკონიდგან ნიკომ და ფუფალას ყური აღარავინ უგდო. ლხინი მაშინვე მოიშალა, უფროსები წამოდგნენ და ყველამ ნიკასკენ გასწია. ნიკას «დროება» ეჭირა ხელში. დიდი—პატარა გარს შემოეხვია.

— Читай передавую, დაიყვირა ტიტიკომ.

— Передавую კი არა, დაიყვირა ფუფალამ, передавая ფეხებზედ მკიდია! მოვიდეს შინაური ქრონიკა.

— ლექსები! ფელეტონი! მაიძახოდენ ქალები.

— წაიკითხე, წაიკითხე, ნიკა, ოღონდ წაიკითხე და რაც უნდა იყოს.

ასეთი ალიაქოთი, ასეთი ჟღავი-ჟღუვია, კაცს მეორედ მოსელა ეგონება, ბოლოს მაინც ფუფალამ დასძლია და შინაურ ქრონიკას დაუწყო ნიკამ კითხვა. ერთი ათ ნომერში იქნებოდა წაკითხული სულ შინაური ქრონიკა (ბორი შორს არის და მგზავრი იშვიათი), რომ გავიგონეთ, ქარვასლა ბანკს დარჩენიაო. თვით ნიკა გაჩუმდა ამ ამბავზედ.

— Вотъ-тѣ и на! დაიძახა ტიტიკომ.

ყველანი გაჩუმებულნი იყენენ და ერთმანერთს შესცქეროდენ.

— არ გესმისთ, კაცო, ქარვასლა ბანკს დარჩენიაო, ჩვენ ბანკსაო! დაიწყო ფუფალამ. ჩვენ დაგვრჩენიაო, ჩვენ! შრა! და შეაგდო ქუდი ჭერში, სხვებმა ბანი მისცეს და დაიგრიალა ერთი ოცი კაცის ურამ და მიდიოდენ ქუდები ჭერში. ყველაზედ მეტს ფუფალა ყვიროდა და ბიგო, ის ბიგო, რომელიც კენჭი რომ ხელში უჭირავს, იქვე მდგომს ვისმე ჰკითხავს ხოლმე: ეს კენჭი საით ჩავაგდოეო?

— რა გაყვირებთ, არ გაიგებთ ღირს იმ ფულათ თუ...

— შენ თუ არ ჩაგვაშხამე საერთო სიხარული ხომ არ იქნება, შეუტია ფუფალამ ტიტიკოს. აბა, რა დროს ანგარიშია? კაცო, ის კი ცოტად მიღირს, რომ ქალაქ ჩავალ თუ არა, ე შემოდგომას, მაშინვე ქარვასლაში ავალ, შემოვიყრი დოინჯს, გავივლი და გამოვივლი. მაშ! აბა გაბედოს და ხმა გამცეს ვინმემ. ჩემია მეთქი! ჩემი საკუთრება არის მეთქი... შრა!.. ყმაწვილებო, განაგრძო ფუფალამ, დღეს ჩვენი სიხარულის დღე არის, ნუ თუ ამ დღეს არ ვიდღესასწაულებთ?

აქ კიდევ გაჩუმდა ფუფალა, ყველანი გაჩუმებულნი იყენენ. აი რას მოგახსენებთ: ფსონით სადილი გავაკეთოთ, პიკნიკი, ვინც არა?...

— აგრე იყოს! აგრე იყოს! დაიყვირა ყველამ.

ბევრი ილაპარაკეს ამ სადილის შესახებ, და ბოლოს დაადგინეს: ზეგ ვენახში, კაკლებ ქვეშ, უნდა სადილი გეეკეთებინათ ფსონით; სულზედ ორი ჩანახი სიმინდი გადასჭრეს, ორი კვერცხი და ერთი ჯამი რძე ნაზუქისთვის. სიმინდი უნდა ურიებისთვის მიეყიდნათ და ფულით ცხინვალში ევაჭრათ.

— რა დროს თიკნიკია, შვილო, სთქვა ქოტემ, კაცს კენჭები აბაზად მიმაჩნია და თქვენ კი იძახით თიკნიკო! ქოტეს სამი ქალი ჰყავს მოსწრებული და ექვსი ჩანახი სიმინდი მისთვის დიდ დანაკლისს შეადგენს. სულ ე ფუფალას ბრალი კი არის აი! ოღონდ მაგას ჭამა-სმა გააგონე და თუნდა თავს გაიყიდის! რა ეხარჯება? აბა, შვილო, წადი შენა მოხანი, დაფარცხე, დათესე, მორწყე, გათოხნე... მაშინა გნახავ, როგორ ილაპარაკებ? იცი ექვსი ჩანახი სიმინდი ამ კალოობას როგორ მიღირს?...

— შენგან არ მიკვირს, ქოტე, უპასუხა ბიგომ, სიმინდი რა სათქმელია? არ მოგწყინდა, ყმაწვილო, ამდენი ვაი-ვაგლახი, დღითი დღე მიწას ჩავცქერიავართ? ქაცნი ვართ, დასვენება გვინდა. დავსხდეთ, შენი ჭირიმე, და ერთი მამაპაპურად გადავკრათ. ისეთი სუფრული დავიძახო, ბიგო არ მოგიკვდეს, რომ მტერს თვალები დაუყენო.

— შენ თუ შენი შვილები ყველგან არ გამოაკელი, ხომ არ იქნება, უთხრა ქოტეს მისმა ცოლმა, ბარემ ფეხები შეუკარი და კარში ნუღარ გაუშვებ. სხვა სოფლებიდგან აქ მოვლენ და ჩვენები კი არ ერიონ...

— ამას ვიღა ალაპარაკებს? აი დასწყველა ღმერთმა, ამანაც თუ ფეხი არ გამოყო, ხომ არ იქნება! ვაჰიმე! იმ ღმერთს კი რა ვუთხრა, რომ დედაკაცს ენა მისცა და მოძრაობა, უნდა გაეჩინა მუნჯად, უმოძრაოდ, გდებულიყო ისე და ყოფილიყო.

ქოტეს ყური არავინ უგდო, პიკნიკის (რომელსაც ზოგმა თიკნიკი დაარქვა, ზოგმა ჩიკნიკი) გასამართავად კომისია ამოირჩიეს—ორი კაცი. ქინაღამ საქმე დაიშალა, რადგან ყველა კომისიას თავ-მჯდომარე უნდა და პატიოსან თავ-მჯდომარეს ვერ შოულობდენ. მაგრამ აქაც ფუფალამ უშველა.

— მე! მე! ჩემზედ კარგად ამ საქმეს ვერავინ გაარიგებს. ცხინვალშიაც მე წავალ! ეჰეი, დედასა, თეიმურაზ ნადიმაძე... ისეთი ხორცი ვიყიდო... არტალა... ზედაც სუკები... შენი ჭირიმე... მე! მე! რა არ ვიცი მე? სად არა ვყოფილვარ! რა არ მინახავს? ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზედ, თორემ...

ეს რასაკვირველია ცარიელი სიტყვებია, არსად ყოფილა გარდა იმისა, რომ შვიდის წლისა გაეგზავნათ რუსეთს და იქ სადღაც კორპუსში ყოფილიყო. მესამე კლასიდგან გამოეგდოთ და ეტაპით გამოეგზავნათ შინისკენ. მე კარგად მახსოვს მის გადმოსელა. ტოლი ბიჭები ვისხედით გალავანში, იმ გალავანში, სადაც უწინ მთელი გვარეულობა ცხოვრობდა, და პატარა თორნეში ტალახის შოთებს ვაცხობდით. ვნახოთ ერთი ვიღაც წამოგვადგა თავს. მის დანახვაზედ ერთი კი დავიყვირეთ და გადავეშვით კედლებიდგან,—გულ-გახეთქილები მივარდით სალაყ-

ბოზედ და ძია ირაკლის დაუწყეთ ყურება: ის მილიციაში ნამყოფი იყო და რუსული «ძაან იცოდა». ზაუძღვა ძია ირაკლი წინ და მიჰყვნენ სხვები შორი ახლო მოსულის სანახავად. ის კი იდგა გაშტერებული შუა გალავანში და აქეთ-იქით იყურებოდა; ალბად ფიქრობდა: ეს გალავანი ის არის, მაგრამ ჩვენი სახლი რაღა იქნაო?

— Ви што хочитъ, господинъ?

— Я Теимуразъ Надимадзе.

— ეს ხომ ჩვენი თეიმურაზია, დაიყვირა ძიამ და გადაეხვია. წაიყვანეს სახლში; ძია ირაკლიმ თარჯიმანობა იკისრა და ცხარე ოფლი სდიოდა საწყალს, ისე ძნელი იყო იმ ღამეს მის ვალდებულება: თეიმურაზმა ერთი სიტყვა არ იცოდა ქართული.

მახსოვს ვახშმად ლობიო გვქონდა.

— ეს რა არისო, იკითხა თეიმურაზმა.

— ლობიო.

— ნეტავი კი სულ ეს მაჭამა და სხვა არა მინდა-რა.

და მის შემდეგ, ეს თხუთმეტი წელიწადია, ზის თეიმურაზი სახლში, სჭამს და სძინავს. თუმცა ლობიო სიკვდილივით ეჯავრება, მაგრამ მის გაფუფალება მაინც... ლობიოს ბრალია.

დიდი ლხინი იყო პიკნიკზედ. ხალხი ბევრი შეიყარა. ფუფალამ ხორცის ჯავრი იყარა, ბიგომ ღვინისა, ქალებმა ლეკურის და «კავალრებისა». ძლივს ელირსა ფუფალას თავის ნინუცას ნახვა, რომელიც, ამბობდენ, შეჰყვარებიაო. ძლივს ელირსა, მაგრამ სადილობამდის საქმე ჰქონდა და სადილად კი მისი აღარა სცხელოდა: ილუკმებოდა გაჩქარებული და თუმცა ნინუცა გვერდზედ უჯდა და შეყვარებულებს [illegible] ჰქონდათ შემთხვევა ერთმანეთის დიდის ხნით ნახვისა, ფუფალას აღარც ნინუცა ახსოვდა, აღარც სიყვარული. თუ სადღეგრძელოს სვამდა ვისასმე, გაგიმარჯოსო, დაუძახებდა, რომ ბევრს ლაპარაკში დრო არ დაჰკარგოდა და მადლობას მხოლოდ თავის დაკვრით იხდიდა.

დაღამდა. მთვარე დაჰხაროდა ამ ქართულს, გულ-გახსნილს ლხინს. ბიგოს შემოესხა გლეხ-კაცობა და მართლა კარგ სუფრულს იძახდა, იქვე ფერხული დაებათ, ქალები «კავალრებს» ეჯიბრებოდენ ლეკურში; არა სჩანდა მხოლოდ ფუფალა და ნინუცა.

— თეიმურაზი რა იქნა, იკითხა მისმა დედამ ნენემ.

— ქვეით ჩაიარაო, უთხრეს.

ნენე ქვეით წავიდა და უცბად დაინახა წალამზედ მსხდომი ფუფალა და ნინუცა, ის ნინუცა, რომლის შერთვა, ეს რამდენი ხანია, უნდა ფუფალას და ნენე კი ნებას არ აძლევს.

— რა გინდა, დედავ და თვალო, ჩემგან? არ დამეხსნები, რას ჩამციებიხარ? რათ მართმევ შვილსა? არ შემგიყვან ჩემს სახლში რძლათა, არა და არა, გამოიძერი ბამბა ყურიდგან.. ჭადი ჭამია წვერ-ცამეტას გომბიო უნდა სახლში შემომეპარო განა? უი, უწინამც დღე დამელევა!.. დასწყევლა ჩემმა წმინდა გიორგიმ, ეს რა ამეკვიატა ქა? ვერ უყურებთ ამ უნამუსოს რას მიშვრება! ლამის სულ არ გადამირიოს ე ბავშვი! მისამარ დამეხსენი, თორემ სულ ბუწუწებით გათრევ შე...

გააფთრებული დედაკაცი ჩვენ მოვაშორეთ მტირალ ნინუცას. ამ ამბის დროს ფუფალა წასულიყო და ლოგინში ჩაწოლილიყო.

მეორე დღეს მან ისევ ძველებურად იკითხა:

— დღეს სადილად რა გაქვსთ?

ისე დაღონებული იყო, ისეთი ტანჯვა ეტყობოდა, რომ წუხანდელი ამბავი ვერავინ მოაგონა, თუმცა ყველას ენაზედ ადგა.

სკეპტიკი.

სიმღერა

(მთიულური)

ნეტავი გამაგებინა
ერთი რამ გამოცანაო,
პეპელასავით რომ ფრინავ,—
შენ გეკითხები, ქალაო—

ე შენი შავი თვალები
რისგან არს ჩამოსხმულიო,
როს გხედავ მწყდება მუხლები,
ლამობს დადნობას გულიო.

ზღვა ბობოქარობს, ზღვა ღელავს,
მენავეები ტირიან,
ტალღებს ტირილი არ ესმის
შეუბრალებლად ყვირიან·

გაყა-ფშაველა.

მხეცთა დამამშვიდებელი

(მოთხრობა ზახარ-მაზოხისა; ნემეცურიდამ)

(დასასრული *)

მეორე დღეს თავადი მანიასკი თავის საცოლოს პატარა, მშვენიერს ბუდუარში იჯდა და თავისის ლამაზის თითებით მას თამბაქოს უხვევდა, როდესაც კნიაჟნამ დასიცილის ღიმილით გამოაცხადა სურვილი, რომ მასაც ენახა, ერთხელ მაინც, სახელოვანი მხეცთა დამამშვიდებელი, რომლისაგანაც მთელი ქვეყანა აღტაცებაში მოდიოდა.

— როგორ მოგივიდათ მაგ გვარი აზრი? უთხრა თავადმა და პაპიროსი აკანკალდა მის ხელებში, თამბაქო-კი თეთრს თითებს შუა ჩაიბნა.

— მე მაგ პირზე იმდენი საუცხოვო რამ მიამბეს, რომ განვიძრახე უეჭველად დავესწრა ერთს იმის წარმოდგენათაგანზე და ეს ამ საღამოსვე უნდა მოხდეს, თქვენის თანადასწრებით, კნიაზო.

*) იხილე „თეატრი“ № 16.

როდესაც ამ საღამოზედ დამამშვიდებელი ყაფაზაში შეკიდა, დაინახა თავადი და მასთან განსაცვიფრებელის სიღამაზის მქონე ქალი, რომელიც გამოთხოვის შესედულობით აშტერებდა ლორნეტს. ეს იყო ენიანა, იმისი საცოლე. გერმა მიხვდა ამას და აკანკალდა, მაგრამ მხოლოდ ერთს წამს, შემდეგ მან ჩვეულებრივის მედიდურობით და გულ-გრილობით დაიწყო თავისი წარმოდგენა. როდესაც ბედიანი ოინის შემდეგ, გერმა დიდი ლომის წელზე გაწვა და სხვა ლომები-კი გარ-შემოერტყნენ, ენიანამ ხმა-მაღლა დაიძახა: „ბრავო“ და ოქროთი სავსე ქისა შეაგდო ყაფაზაში. უსიამოვნო დრტვინვა გაისმა მაყურებელთ შუა. გერმა სულ ერთიანად აკანკალდა და მის განსაცვიფრებლად ღამაზის თვალებიდგან ცრემლმა დაიწყო დენა; მან თვით-მეფლობელობა და გარ-შემორტყმულს მსეცებზე მბრძანებლობა დაჭკარგა; დიდმა ლომმა თავი მაღლა აიღო, გაოცებით შეხედა მას და უეცრივ მარცხენა ხელში სწვდა. მაყურებელთაგან ას-ხმიერი შიშისზარი გაისმა, მაგრამ გერმა გონს მოვიდა კიდეც; ერთი მისი შეხედვა, სასტიკი ბრძანება და ლომმა ხელი გაუშვა. იგი შორს გასტა, ფეთვარში ხელი სტატა ურჩს ბირუტყვს, ფეხი დაბჯინა და წკეპლით იქმდინ სცემა, ვიდრე ის დამორჩილდა და ფეხებში გაუგორდა.

მაღალი, ხან-გრძელი ტანის კვრა და ქების ძახილი იყო მისი მამტობის ჯილდოდ.

— ქორწილი როდის აქვთ? ჭკითხა გერმამ ედგარს, ყაფაზიდგან გამოსვლისას.

— ზეგა.

— გარდამიცემ წერილს? მხოლოდ უეჭველად შენის ხელით.

— თუ რომ შენ მიბრძანებ...

— გთხოვ.

გერმამ ხელი ჩამოართო, მაგრამ იმან მის გაშვერილს ხელს ხელი სტატა და კოცნა დაუწყო.

მეორე დილას, მსეცთა დამამშვიდებელმა წერილი მასწერა თავადს. იმას უნდოდა ერთიც ენახა, მხოლოდ ერთიც უკანასკნელად და ჩვეულებრივს დრო მსეცთა სანახავში სთხოვდა მოსვლას, რომელის სამაგიეროდაც იმის ჯვარის-წერის დღეს ბუსრესტიდგან წასვლასა ჭვირდებოდა. ეს წერილი თვით ედგარმა გარდასცა თავადს, რომელმაც თვალი გარდააგლო, გაიღიმა და უთხრა: „მოვალ“.

შუადამის ერთის საათის წინედ თავადი მსეცთა სანახავის ბატარა კარებთან იდგა. კარი, ჩვეულებრივად, უხმაუროდ გაიღო. ვარსკვლავების და თოვლის მკრთალს ნათელზე გამოჩნდა გერმა მოკლე ბეწვიანს ტანისამოსში ჩაცმული. მან სტატა თავადს ხელი და სიფრთხილით გაატარა ბნელს დერეფანში. ჩვეულებრივათვე დაიწრიალეს მეორე კარის ანკამებმა და გერმამ სრულიად ბნელს სივრცეში შეიყვანა თავადი, უელზედ მოესვია და ველურის სინაზით აკოცა.

შემდეგ უეცრად გაქრა; კარები ძალზედ მირახუნდა და თავადმა ფეხით რაღაცა ტოტსადი, მმოძრავი იგრძნო. რა უნდა იყოს? ბანა გერმამ, ჩვეულებრივად, თავის ბატარა სპერ-ფარეშოში არ შეიყვანა?

წუთის შემდეგ, წითელი სინათლე გამოჩნდა. გერმამ ლომების ყაფაზის გრგოლში აღგზნებული ჩირაღი გაამგრა, ყაფაზაში ლომებით გარ-შემორტყმული თავადი იმყოფებოდა. გერმა გულ-ხელ-დაკრეფილი იდგა ყაფაზის გარედან და ცივად შეჰყურებდა მას თავისის დიდრონის ტრედის ფერის თვალებით; მის ტუჩებზე სატანური ღიმილი თამაშობდა.

ჩქარის მოძრაობით მიავარდა თავადი კარების გასაღებად, მაგრამ ამაო იყო მისი ცდილობა.

— ღვთის გულისთვის, გერმა, რა გინდა ჭქმნა?

— მე დღეს ჩვენს ქორწილსა ვდღესასწაულობ და ლომები სტუმრებად მყავს მოწვეული.

— ხომ არ გაგიყდი?

— სრულს ჭკუაზედ კარ; შენ მიღალატე,—მეც ეს სიკვდილი გარდგიწყვიტე. წინ, ხემო მეგობრებო!

მან გაალვიძა მძინარე ლომები და თავისის წკეპლით გამძვინვარება დაუწყო; მაშინ, როდესაც თავადი ყვირიოდა და საშველად იწვეოდა სალხს, მაგრამ მისი ძახილი ზამთრის ქარიშხალმა დაჭფარა. ლომები, გერმასაგან გამხნევებულნი და გამძვინვარებულნი, დაეტაკნენ თავადს. სისხლმა კიდეც დაიწყო დენა. იგი ეკედრებოდა და თავ-განწირულად იგერებდა გატოფებულს მსეცებს, მაშინ როდესაც გერმას ყაფაზის ტიკს რკინაზედ მიებჯინა სახე და ამაოოვილებით შეჭყურებდა იმის სიკვდილის წინა წამებს.

კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე ლომებმა არ გაათავეს თავისი საშინელი საქმე. როდესაც თავადი მეკედარი ეგდო ყაფაზის იატაკზედ, ისინი შაშით გაბრუნდენ და დასისხლიანებული კლანჭების ლოკვას მოჭყვნენ.

იმავე ღამეს მშვენიერი მსეცთა დამამშვიდებელი გაქრა ბუსარესტიდგან და არავის არასოდეს აღარა გუგონია-რა იმაზედ.

ს. ახ—ოვი.

„ბლუკუნა“

ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი.

გამოდის ყოველ-დღე, ორ-კვირაში ერთხელ

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენს ლიტერატურაში გამოჩენილნი: ჩაჭყაბე, გვერდელაშვილი, ფიწიდა, ლოჭია, ჭეტია, კომშუა, ჩასტია და სხვანი მრავალნი.

ფასი მთელის წლისა ცხრამეტი შაური და ორი გროში, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

თბილისი, 15 დეკემბერს.

ცამ შუბლი შეჭკრა, ციემა ნიავმა შემოუბერა და ბუნებამ ისხვაფერა. ტურფა გაზაფხული წაიდა, რომ მერმის კვლავ მოვიდეს და ზამთრით გულ-ჩახურულებს, ქუდი ჭერში გავაკრეფინოს და „ლოთებო ნეტავი ჩვენა“ გვაძახებინოს. ღვთის წყალობა ის არის, რომ ღმერთს ყველა ბუნების წესზე და რიგზე არ დაუწესებია, რომ ძველი გაუნათლებლობა, ხვპრეობა და საშუალ-საუკუნოების დროები გაზაფხულივით ისევ უკან არ გვიბრუნდება და თან-და-თან გაუკეთესობაში შედის. რაც უფალს დაუწესებია, ყველაფერი კარგად დაუწესებია, ვენაცვალე ქრისტეში!

დიახ, ყველაფერი ცვალებადია! კაცი იცვლება, დრო და ჟამი ხომ იცვლება და იცვლება: გუშინდელი დღეს აღარ არის, დღევანდელი ხვალ აღარ იქნება. დრო იყო, როცა ერთი მოკითხვის წერილის წასაკითხავად მთელი ქალაქი უნდა მოგვერბინა, რომ წიგნის მცოდნე კაცი გვეპოვნა, ეხლა ჩვენმა ბავშვებმა სკანდარნოვის ლექსები სულ ზეპირად იციან. კინტო არ არის, რომ ანა-ბანა არ იცოდეს,, თუ შეითან-ბაზრის უნივერსიტეტში შეუსრულებია კურსი. დრო მოვა, როცა ჩვენი ბავშვები – შეითნები ცალი ხელით ხურმას ასწონავენ, მეორეთი შექსპირს წაიკითხავენ, და ბაირონის პოემები სულ ზეპირად ეცოდინებათ. ვა მართლა, რა დრო იქნება და!..

ერთიც ვნახოთ ჩვენ ჭაჩალ-ბალღუასთან ბლალაროდნი ვინმე დგება და ქიშმიშ-ლაბლაბოს ყიდვა უნდა, ევაჭრება და ჭაჩალა-კი ხმას არა სცემს, თავ-ჩაღუნული დაზგაზედ რაღასაცა სწ(ყ)ერავს.

— როგორ გირვანქა? ეკითხება მესხედ მყიდველი.

— მოიცა, კნიაზჯან, არა მცალიან, გაზეთისთვის სტატიასა ვწერავ, სტამბაში უნდა გავგზავნო, მეჩქარება.

ხა! ხა! ხა! ხა!..

დრო იცვლება, დრო, ჩქარა წყალივით მიმდინარეობს და სულ ახალი ხალხები, ახალი თევზები და მეთევზეები, ახალი მსხვერპლები... მიდის და თან მიგვახეტებს ნება-უნებურად, მოვა დრო, როცა ათის და ოცის თუმნის მაგიერად კაცებს აიღებენ ქრთამებად, —როცა ჩვენი აბლაკატები ისე გავრცელდებიან, რომ უსაქმურობისაგან თითონვე ჩაიდენენ კაცის მკვლელობას, თავი დავიცვათ და ჩვენი მჭევრ-მეტყველობა გამოვიჩინოთო, — როცა ქურდები შენი ქონების მაგიერად შენ მოგიპარავენ და «თეთრს დუქანში» ნახევარ ჩარექს ღვინოში დაგაგირავებენ, —როცა ჩვენი ქალები ფეხის გულზედაც-კი ფერ-უმარილს წაისომენ და კურტუმ-ტიურნიურებს იქამდინ გაიზრდიან, რომ კაცები ფაეტონების მაგიერად, იმათ დაიქირავებენ, ზედ შესხდებიან და... ვერიდგან ჰავლაბარში, ჰავლაბრიდან ვერაზე... ტალდა კონკა ქ ჩორტუ!..

ახალი ამბები

— «მისანი» შარშანდელს ქართული თეატრის ანტრეპრენიორთან წასულა საჩივლელად, რომ ქართული დასი ყურს არ მიგდებს და ისევ შენ მიპატრონეო. იმედი გვაქვს, ბ. ნაანტრეპრენიონარის კეთილი გულისაგან, რომ უნუგეშოდ არ დასტოვებს ამ საბრალო საპყარს.

—

— ბ.ბ. ჩირჩილოთ საჩივარი შეუტანიათ სუდში დრამატიულ საზოგადოებაზე, რომ საზრდო წაგვართვეს და შიმშილით ვიხოცებითო. როგორც გავიგეთ, მისი საჩივარი შეუწყნარებიათ და დაბარებულნი არიან, როგორც თავვს-მჯდომარე, აგრეთვე წევრები სეკრეტრითურთაო.

—

— როგორც შევიტყეთ, ბ. მეუნარგია «ვეფხვის ტყაოსანის» ჩინურს ენაზედ გადათარგმნას აპირებს და ამიტომ ბორჩ წავიდა, რომ იქიდამ ტყვით ჩინეთში გაემგზავროსო.

ლექსები

*
* *

რას დაღონდით, მოიცვენით დარდებით,
იქეიფეთ, ზურგზე ნუ დავარდებით!

რა ვუყოთ რომ ზენა ქარი ცივად ჰქრის,
მწვანე ფოთოლს აყვითლებს და ძირსა ჰყრის,
რომ ლურჯს ცასა შუბლი შავად შეუკრავს
და დუდუკი მწარედ ზუზუნებს, ჰკვნესავს?

რას დაღო[ნდ]ით, მოიცვენით დარდებით,
იქეიფეთ, ზურგზე ნუ დავარდებით!

გაზაფხული მოვა, კვლავ გვესტუმრება,
ხე-ყვავილი კვალადვე ამწვანდება,
მოქურუხულს ცას შუბლი გაეხსნება
და დუდუკიც ტკბილად აზუზუნდება...

იქეიფეთ, ადრინდელებრ ილხინეთ,
მაგ სიამით, ლხინით მთვარეც იხილეთ!..

ვის ვეტრფი

ქერა ქალსა, მლალატს, გაუტანელსა,
მცბიერს, მზაკვარს, ფლიდსა, მშხამავსა გველსა
არ ვენდობი, არ მწამს მის ქართზები,
ბულს უსხედან ჯგუფად ტარტაროზები.

—

შავ-თმიანის, შავ-წარბას, შავ-თვალებას
კოცნას, ალერსს, მისსა შეტრფიალებას,
მასთან ყოფნას ერთსა წუთიერებას
ცას ვადარებ, ციურს ბედნიერებას.

—

ძუძუ-კოკობს, ეშხიანსა, ტურფასა,
წვრილ-ტუჩებას, ალვად რგულსა, ქორფასა
რომ იცოდეთ, ვითარ ვმონებ, შევსტრფი ვით...
ვიწვი, ვხმები ლალუას ტირიფივით!

ა—ახ!

რედაქტორი და გამომცემელი ვ. აბაშიძე.

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1885 г. 17 декабря. Типографія Меликова. სტამ. მელიქიშვილისა.